გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 166

06 11 2015 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 5 ნოემბრის N3164-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 ნოემბრის სხდომის N17 ოქმის მე-16 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 ნოემბრის N03/4656 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 5 ნოემბრის N3164-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

1. შევიდეს ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 116კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიმართ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში არსებულ რეგისტრაციულ ჩანაწერებში (საკადასტრო კოდი N83.02.05.920) და მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია განხორციელდეს შ.პ.ს. ,,არქიტექტურა 2009“-ს მიერ 2015 წლის 30 ოქტომბერს მომზადებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად.

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად საჭირო ქმედებების განხორციელება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

ნაბი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: